საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არკნეთი

არკნეთი, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის აკნევის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 885 მ, ქარელიდან 26 კმ.

ა-შია ღვთისმშობლის ეკლესია (შუა საუკ.). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ამ სოფელში იერუსალიმის ჯვრის მონასტერს მამული ჰქონია.

სოფელსა და მის მიდამოებში აღმოჩნდა სხვადასხვა დროის რამდენიმე არქეოლ. ძეგლი: შუა ბრინჯაოს ხანის გვიანდ. საფეხურის ნამოსახლარი, გვიანდ. ბრინჯაოს და ადრინდ. რკინის ხანის სამაროვნები, შუა საუკ. მეტალ. სახელოსნოს ნაშთი, ანტ. ხანის სამაროვნები (იხ. არკნეთის სამაროვანი).

ი. გაგოშიძე